განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ
შპს სკოლა ეისის მიერ
ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ქეთევან ბოტკოველი
წევრი:
ცირა ნიკოლაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

■ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

- ☐ **გეგმიური**
- ■ **არაგეგმიური**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	შპს სკოლა ეისი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	ს/კ: 417885649

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი გორი
იურიდიული მისამართი	ბესიკის ქ.N5
ფაქტობრივი მისამართი	ბესიკის ქ.N5
საფოსტო ინდექსი	1400
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	http://acschool.ge/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	contact@acschool.ge acschool15@gmail.com.
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	ტელ: **(370) 27 20 27, 599 70 88 02**

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის ბრძანება MES 2 23 0001644412, 04/12/2023, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს სკოლა ეისის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	2023 წლის 07 და 08 დეკემბერი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ (ივსება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატების წარმოებაზე „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, რომლის დამატებაც სურს სკოლას.

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

V. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, რომლის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება სურს სკოლას.

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ახალი ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 04 დეკემბრის N 1644412 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს (თავმჯდომარე: ქეთევან ბოტკოველი, წევრი - ცირა ნიკოლაშვილი) დაევალა შპს სკოლა ეისის მიერ (ს/კ: 417885649) ავტორიზაციის პირობების, კერძოდ, დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის „გ.დ“ კომპონენტით და ამავე მუხლის "დ" ქვეპუნქტის კომპონენტებით განსაზღვრული სტანდარტის შესრულების შემოწმება. ბრძანებას საფუძვლად დაედო გორის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსთან შესული, ამავე სკოლის მეორე კლასის მოსწავლეების მშობლის მ.მ - ს, განცხადება, რომელიც ითხოვს კლასის დამრიგებლის დასჯას მისი მეორეკლასელი ტყუპი შვილებიდან, ერთერთი შვილის მიმართ განხორციელებული არაეთიკური საქციელის გამო.

მონიტორინგის ვიზიტი, ადგილზე, განხორციელდა 2023 წლის 07 და 08 დეკემბერს, ქ. გორში. ექსპერტთა მიერ შესწავლილ იქნა მესამე სტანდარტის, 3.4. კომპონენტის და მე-4 სტანდარტის შესაბამისი დოკუმენტაცია და თანამშრომლობით გარემოში განხორციელდა სკოლის წარმომადგენლებთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან და მომჩივან მშობელთან გასაუბრება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
150	147

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **■ არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ■ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**■ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება
(ცხრილი ივსება მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის დროს)

მოსწავლეთა რაოდენობა: **----------**	**ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება** **☐**	**აღწერა** **(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების განაცხადში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)**
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება **☐**	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	**ხარვეზი**
ინდიკატორი N 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში	• სკოლას არ აქვს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანების №41/ნ/01-23/ნ შესაბამისად აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი;
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**ხარვეზი**
ინდიკატორი N.....		

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	**სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია**
ინდიკატორი N 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	• სკოლამ უზრუნველყოს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირის გადამზადება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 65/ნ ბრძანების შესაბამისად შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (15.01.2024 – 15.09.2024); • სკოლამ უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება შესაბამის ორგანოსთან, შესაბამისობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

		გეგმით განსაზღვრულ ვადაში (08.12.2024 – 1.03.2024) ; • სკოლამ უზრუნველყოს უფლებამოსილი სამსახურის მიერ გაცემული შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვება, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (19.01.2024 – 15.01.2025) ; • სკოლამ უზრუნველყოს შენობის მდგრადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მოპოვება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (15.01.2024 – 15.01.2025); • სკოლამ უზრუნველყოს ექიმის აყვანა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (16.01.2024 – 01.02.2024).
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია**
ინდიკატორი N....		

VI. რჩევები

სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	**რჩევა**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი N3.4.1.5.	**სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;**	**სკოლას მიეცა რჩევა** - მოიპოვოს სკოლაში დასაქმებული ყველა პირისა და სკოლის მოსწავლეების ყველა მშობლის მიერ გამოხატული ნებაყოფლობითი თანხმობა წერილობით ან მასთან გათანაბრებული ფორმით, მათ შესახებ მონაცემთა განსაზღვრული მიზნით დამუშავებაზე,
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**რჩევა**
ინდიკატორი N 4.1.2.3.	სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;	სკოლას მიეცა რჩევა - უზრუნველყოს ვებ გვერდის უხარვეზო ფუნქციონირება.
ინდიკატორი N 4.2.1.5	სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესი და სათანადო კვალიფიკაციის მქო პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფ დამატებითი/არაფორმალური აქტივობებ წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივებ მხარდაჭერას;	სკოლას მიეცა რჩევა, შეიმუშავოს მოსწავლეთა ინიციატივის მხარდამჭერი წესი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი N 4.2.2.1	კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;	სადამრიგებლო პროგრამებში ასახოს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობის მიმართულებით განსახორციელებელი აქტივობები.
ინდიკატორი N 4.2.2.3	სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.	კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის მიზნით პერიოდულად შეაფასოს გაწეული მომსახურება.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

შპს სკოლა ეისმა წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებზე და მითითებულ ხარვეზებზე. უნდა აღინიშნოს, რომ სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა მიგნებები და არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და რიგი მტკიცებულებებისა.

შედეგი:

ექსპერტთა შეფასებების საფუძველზე, სკოლის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, თავდპირველად, დასკვნის პროექტის ფარგლებში, რიგ ინდიკატორებთან და შესაბამისად კომპონენტთან მიმართებით, შეფასდა როგორც არ „შეესაბამება“, ხოლო არგუმენტირებული პოზიციისა და შესაბამისობის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეფასდა როგორც შესაბამისი, არ არის შესაბამის და/ან მეტწილად შესაბამისი.

ეს ინდიკატორებია:

3.4 კომპონენტის ინდიკატორი 3.4.1.1. შეფასებული იყო როგორც არ შეესაბამება, რამდენადაც:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სკოლამ ვერ წარმოადგინა დოკუმენტი რითაც დადასტურდებოდა, რომ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირი გადამზადებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 65/ნ ბრძანების შესაბამისად, **თუმცა არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად** - სკოლამ წარმოადგინა - რესურსცენტრში გადაგზავნილი წერილი (N 987, 15.01.2024) საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 65/ნ ბრძანების შესაბამისად გადამზადებასთან დაკავშირებით. შესრულების ვადად განისაზღვრა 15.01.2024 – 15.09.2024, დაფინანსების წყაროდ მითითებულია სკოლის ბიუჯეტი, სხვა ჩართულ მხარედ - მანდატურის სამსახური, ხოლო შესბამისობის უზრუნველყოფის რისკის დადგომის ალბათობა განისაზღვრა 0% -ით.
- სკოლას არ ჰქონდა შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, **თუმცა არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად** - სკოლამ წარმოადგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან გადაგზავნილი წერილი (N978, 08.12.2023), რითაც ითხოვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმებას და ასევე აღნიშნული სამსახურის მიერ მიღებული დასტური წერილის მიღებასთან დაკავშირებით, რომელიც რეგისტრირებულია ნომრით N118491; 15.01.2024. შესრულების ვადად განისაზღვრა 08.12.2025 – 01.03.2024, დაფინანსების წყაროდ მითითებულია სკოლის ბიუჯეტი, სხვა ჩართულ მხარედ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო, ხოლო შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკის დადგომის ალბათობა განისაზღვრა 0% -ით.
- სკოლას არ ჰქონდა უფლებამოსილი სამსახურის მიერ გაცემული შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა და არც მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების აღმოფხვრის შესახებ, **თუმცა არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად** - სკოლამ წარმოადგინა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულება N89/01, 18.01.2024 მომსახურების გაწევის შესახებ და შესაბამისი მომსახურებისთვის გადახდილი თანხის ქვითარი (ელექტრონული საგადასახადო დავალება N11402); ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საქართველოს მთავრობის 2022 წლის 10 ივნისის N308 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის „ბ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურება -500 მ^2 მეტი ფართობის მქონე შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა და შესაბამისი წინადადების მომზადება. შესრულების ვადად განისაზღვრა 19.01.2024 – 15.01.2025, დაფინანსების წყაროდ მითითებულია სკოლის ბიუჯეტი, სხვა ჩართულ მხარედ - სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტო, ხოლო შესბამისობის უზრუნველყოფის რისკის დადგომის ალბათობა განისაზღვრა 0% -ით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სკოლს არ ჰქონდა შენობის მდგრადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, **თუმცა არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად** სკოლამ წარმოადგინა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს უფროსთან გაგზავნილი წერილი (N986, 15.01.2024), სკოლის შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების დასკვნის მომზადებასთან დაკავშირებით. შესრულების ვადად განისაზღვრა 15.01.2024 – 15.01.2025, დაფინანსების წყაროდ მითითებულია სკოლის ბიუჯეტი, სხვა ჩართულ მხარედ - სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, ხოლო შესბამისობის უზრუნველყოფის რისკის დადგომის ალბათობა განისაზღვრა 0% -ით.
- სკოლას არ ჰყავდა ექიმი, **თუმცა არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად** სკოლამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანება Nს2-331, 16.01.2024 - შპს „სკოლა ეისში“ ექიმის/ექთნის ვაკანტური ადგილის შესავსებად გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ და ვაკანსიის შესახებ განცხადების გამოქვეყნების დამადასტურებელი ბმული. შესრულების ვადად განისაზღვრა 16.01.2024 – 01.02.2024, დაფინანსების წყაროდ მითითებულია სკოლის ბიუჯეტი, სხვა ჩართულ მხარედ - გორის საგანმანათლებლო რესურსცენტრი, ხოლო შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკის დადგომის ალბათობა განისაზღვრა 0% -ით.

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით გაიცა შესაბამისობის რეკომენდაციები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ -

- სკოლას ასევე არ ჰქონდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანების №41/ნ/01-23/ნ შესაბამისი სამედიცინო კაბინეტი. მიუხადავად იმისა, რომ **სკოლა არგუმენტირებულ** პოზიციაში აღნიშნავს, რომ გამოიყო 12 კვ.მ.-ის ოთახი სამედიცინო კაბინეტისთვის, რომელიც აღჭურვის პროცესშია და შემოტანილი აქვს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით №41/ნ/01-23/ნ განსაზღვრული რესურსის ნაწილი (ჩუქების ხელშეკრულება N35 - 1 ცალი სამედიცინო საწოლი, 1 ცალი თერმომეტრი, 1 ცალი ტონომეტრი), წამლების შესყიდვის აქტები და გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები სრული რესურსის შეძენასთან დაკავშირებით, თუმცა ხელშეკრულებები არ იქნა წარმოდგენილი. ასევე შესაბამისობის გეგმას სკოლამ დაურთო სამედიცინო ოთახის ამსახველი ფოტომასალა, რომელიც ექსპერტებისთვის ვერ გახდება მტკიცებულება, რამდენადაც ვიზიტის პერიოდში ოთახი არ იყო გამოყოფილი და შესაბამისად ვერ ვადასტურებთ მის არსებობას. **აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეფასდა როგორც არ შეესაბამება.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.4 კომპონენტის ინდიკატორი 3.4.1.3. შეფასებული იყო როგორც არ შეესაბამება, რამდენადაც:

სკოლამ კონკრეტულ მეორე კლასში ვერ უზრუნველყო მოსწავლის ქცევის მართვა და ვერ შექმნა სხვა მოსწავლეებისთვისაც ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემო. თუმცა, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა ინფორმაცია აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. კერძოდ, სკოლამ გააფორმა ექვსთვიანი ხელშეკრულება (N195, 15.01.2024) კვალიფიციურ ფსიქოლოგთან (ფსიქოლოგის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი), რომელმაც შეიმუშავა ქცევის მართვისა და ფსიქო/ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის პრევენციული და სამუშაო გეგმა. **შესაბამისად ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

4.1 კომპონენტის ინდიკატორი 4.1.1.3. შეფასებული იყო როგორც არ შეესაბამება, რამდენადაც:

სკოლის მიერ მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთანგაფორმებული ხელშეკრულება არ იყო კანონმდებლობის შესაბამისი, თუმცა არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ აღნიშნა, რომ გააუქმა სკოლასა და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები და მათთან დადო ახალი კანონმდებლობასთან შესაბამისი ხელშეკრულებები, ხოლო მტკიცებულების სახით წარმოადგინა ხელშეკრულების ახალი ფორმა. **შესაბამისად ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ ბრძანების თანახმად, სკოლაში შემუშავებულია და შპს „სკოლა ეისი“ -ს დირექტორის 2020 წლის 1 სექტემბრის ბრძანებით #ს2-170 დამტკიცებულია „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“, რომელიც განსაზღვრავს „სკოლა ეისში“ სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განსახორციელებელ პრევენციულ და უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დროს განსახორციელებელ ღონისძიებებს.

2020 წლის 29 სექტემბერს წესი შესათანხმებლად გადაეგზავნა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, თუმცა სკოლას უკუკავშირი არ მიუღია. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად სკოლის დირექტორის, 2023 წლის 5 სექტემბრის № ს2-323, ბრძანებით განსაზღვრულია ასევე შპს „სკოლა ეისში“ უსაფრთხოებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირი, თუმცა სკოლამ ვერ წარმოადგინა დოკუმენტი რითაც დადასტურდებოდა, რომ იგი გადამზადებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 65/ნ ბრძანების შესაბამისად.

სკოლაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და ევაკუაციის გეგმა ორივე სართულზე. შენობა შემორაგულია ღობით, თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – „112“-ის ცხელი ხაზის ნომერი;

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ნომერი; საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე სკოლის დირექტორის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირის მობილური ტელეფონის ნომერი; მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრის (სამმართველოს) ცხელი ხაზის ნომერი; საქართველოს სახალხო დამცველის ცხელი ხაზი.

პირველადი სამედიცინო დახმარების მისაღებად სკოლის დირექტორის 2023 წლის 5 სექტემბრის ბრძანებით განსაზღვრულია შესაბამისი პირი, თუმცა სკოლას არ ჰყავს ექიმი და არ აქვს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანების №41/ნ/01-23/ნ შესაბამისი სამედიცინო კაბინეტი.

სკოლაში, დირექტორის ბრძანებით, შექმნილია საგანგებო შტაბი და შემუშავებულია საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც 2023 წლის 8 დეკემბერს, ვიზიტის პრიოდში, გადაეგზავნა შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს შესათანხმებლად.

სკოლას არ აქვს უფლებამოსილი სამსახურის მიერ გაცემული შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა და არც მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების აღმოფხვრის შესახებ. ასევე არ აქვს შენობის მდგრადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლამ 2023 წლის 8 დეკემბერს ხელშეკრულება გააფორმა შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებულ სპეციალისტთან. სკოლის შინაგანაწესით, თავი 14. შრომის პირობების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქციები - განსაზღვრულია შრომის დაცვისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ზოგადი ინსტრუქციები.

უსაფრთხოებისა უზრუნველყოფის მიზნით, სკოლაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და ევაკუაციის გეგმა ორივე სართულზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, დადგინდა, რომ ავტორიზაციის ვიზიტის პერიოდში -

- სკოლამ ვერ წარმოადგინა დოკუმენტი რითაც დადასტურდებოდა, რომ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირი გადამზადებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 65/ნ ბრძანების შესაბამისად;
- სკოლას არ აქვს შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- სკოლას არ აქვს უფლებამოსილი სამსახურის მიერ გაცემული შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა და არც მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების აღმოფხვრის შესახებ.
- სკოლს არ აქვს შენობის მდგრადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- სკოლას არ ჰყავს ექიმი.
- სკოლას არ აქვს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანების №41/ნ/01-23/ნ შესაბამისი სამედიცინო კაბინეტი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა დასკვნის პროექტით განსაზღვრული ხარვეზების აღმოფქვრის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების დამადასტურებელი დოკუმენტები. კერძოდ:

- სკოლამ განახორციელა ზეპირი კომუნიკაცია საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის შესაბამის დეპარტამენტთან და მათთან კონსულტაციის შესაბამისად მოამზადა და გადაუგზავნა თხოვნის წერილი (N 987, 15.01.2024) რესურსცენტრს, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 65/ნ ბრძანების შესაბამისად გადამზადებასთან დაკავშირებით;
- სკოლამ წარმოადგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან გადაგზავნილი წერილი (N978, 08.12.2023), რითაც ითხოვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმებას და ასევე აღნიშნული სამსახურის მიერ მიღებული დასტური წერილის მიღებასთან დაკავშირებით, რომელიც რეგისტრირებულია ნომრით N118491; 15.01.2024.
- სკოლამ წარმოადგინა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულება N89/01, 18.01.2024 მომსახურების გაწევის შესახებ და შესაბამისი მომსახურებისთვის გადახდილი თანხის ქვითარი (ელექტრონული საგადასახადო დავალება N11402); ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საქართველოს მთავრობის 2022 წლის 10 ივნისის N308

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის „ბ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურება -500 $მ^2$ მეტი ფართობის მქონე შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა და შესაბამისი წინადადების მომზადება.

- სკოლამ წარმოადგინა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს უფროსთან გაგზავნილი წერილი (N986, 15.01.2024), სკოლის შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების დასკვნის მომზადებასთან დაკავშირებით.
- სკოლამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანება N№2-331, 16.01.2024 - შპს „სკოლა ეისში“ ექიმის/ექთნის ვაკანტური ადგილის შესავსებად გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ და ვაკანსიის შესახებ განცხადების გამოქვეყნების დამადასტურებელი ბმული;

სკოლა არგუმენტირებულ პოზიციაში აღნიშნავს, რომ გამოიყო 12 კვ.მ.-ის ოთახი სამედიცინო კაბინეტისთვის, რომელიც აღჭურვის პროცესშია და შემოტანილი აქვს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით №41/ნ/01-23/ნ განსაზღვრული რესურსის ნაწილი (ჩუქების ხელშეკრულება N35 - 1 ცალი სამედიცინო საწოლი, 1 ცალი თერმომეტრი, 1 ცალი ტონომეტრი), წამლების შესყიდვის აქტები და გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები რესურსის შეძენასთან დაკავშირებით, თუმცა ხელშეკრულებები არ იქნა წარმოდგენილი. ასევე შესაბამისობის გეგმას სკოლამ დაურთო სამედიცინო ოთახის ამსახველი ფოტომასალა, რომელიც ექსპერტებისთვის ვერ გახდება მტკიცებულება, რამდენადაც ვიზიტის პერიოდში ოთახი არ იყო გამოყოფილი და შესაბამისად ვერ ვადასტურებთ მის არსებობას.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეფასდა როგორც არ შეესაბამება.

2. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;**

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას სკოლა უზრუნველყოფს „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების“ და შინაგანაწესით განსაზღვრული წესების შესაბამისად.. დოკუმენტების შესწავლით დადგინდა, რომ სკოლის დირექტორი განიხილავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირთან ერთად იღებს გადაწყვეტილებას შემდგომი რეაგირებისათვის. უსაფრთხოებიდან გამომდინარე სკოლას დარეგულირებული აქვს მოსწავლეთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გაკვეთილზე დასწრების კონტროლი, რათა დროულად მოახდინოს იმ მოსწავლის იდენტიფიცირება და საფუძვლის დადგენა, რომელიც სკოლაში არ იმყოფება. აღნიშნულს ახორციელებენ კლასის დამრიგებლები და დირექტორის მოადგილე. **(შეესაბამება)**

3. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;**

სკოლის შინაგანაწესით და ასევე „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების“ დოკუმენტით - მუხლი 5. ფსიქოლოგიური დახმარების მიღება, განსაზღვრულია, რომ მოსწავლეებს, მათ კანონიერ წარმომადგენლებს, აგრეთვე სკოლის დირექციის წარმომადგენლებს ან/და მასწავლებლებს ფსიქოლოგიური დახმარების მიღება შეუძლიათ სკოლის მიმართვის საფუძველზე საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგთან კონსულტაციით. სკოლას თავად ფსიქოლოგი არ ჰყავს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას ამ ეტაპამდე ფსიქოლოგის მომსახურებისთვის არ მიუმართავს.

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით ირკვევა, რომ ისინი ყველ ზომას იღებენ იმისთვის, რომ სკოლაში სუფევდეს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემო. ამ მიზნით კლასის დამრიგებლები ატარებენ მეცადინეობებს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა მაგ. პიროვნული და მორალური განვითარება, რომლის მიზანია ბავშვებში პიროვნული უნიკალობის გრძნობის ჩამოყალიბება, სხვა პიროვნებისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულების ფორმირება (მათი მიღება ისეთებად, როგორებიც არიან), საკუთარი პოზიციის გამოხატვის და სხვისი გავლენის გარეშე მისი დაცვისა და სხვისი ღირსების დაცვით ურთიერთობის დამყარების უნარის განვითარება.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა მიერ შესწავლილ იქნა საკითხი, რომელიც საფუძვლად დაედო, სკოლა ეისში განსახორციელებელი მონიტორინგის შესახებ ბრძანებას. ეს გახლდათ, გორის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსთან შესული, ამავე სკოლის მეორე კლასის მოსწავლეების მშობლის მ.მ - ს, განცხადება, რომელიც ითხოვდა კლასის დამრიგებლის დასჯას მისი მეორეკლასელი ტყუპი შვილებიდან, ერთერთი შვილის მიმართ განხორციელებული არაეთიკური საქციელის გამო.

ექსპერტთა მიერ შესწავლილ იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია და განხორციელდა სკოლის წარმომადგენლებთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან და მომჩივან მშობელთან გასაუბრება **(იხ. დანართი N1 მშობელთან გასაუბრების ოქმი).**

მშობელთან გასაუბრებით და მისი საჩივრის წერილის შესწავლის შედეგად, დგინდება, რომ მისი შვილები პირველი კლასიდან სწავლობდნენ შპს სკოლა ეისიში. მე-2 კლასში, მის ერთერთ შვილს, პრობლემა შეექმნა კლასის დამრიგებელთან, რომელიც ხშირად, უსამართლოდ აძლევდა მას შენიშვნებს არსებულ ვითარებაში გარკვევის გარეშე და სხვა მოსწავლეების დანაშაულსაც მას აბრალებდა. მისივე განმარტებით კლასში სწავლობდნენ ამავე სკოლის წამყვან პოზიციაზე დასაქმებულის ტყუპი გოგონები, რომელთაგან ერთერთი აღიზიანებდა მის შვილს და იწვევდა მის ცუდ ქცევას, მაგრამ მისი დედის თანამდებობრივი პოზიციის გამო, მას შენიშვნას არ აძლევდნენ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ერთერთი ასეთი ინციდენტის დროს, როდესაც მისმა შვილმა სკამი გადააყირავა, დამრიგებელმა კლასის წინ დააყენა ბავშვი და დაემუქრა მას, რომ თუ კიდევ ერთხელ მოიქცეოდა ცუდად, მოუწევდა სკოლის დატოვება. მან ასევე მიმართა მის კლასელებს შეკითხვით, სურდათ თუ არა რომ მას დაეტოვებინა კლასი, რაც ბავშვებმაც დაუდასტურეს. აღნიშნულმა ძალიან იმოქმედა ბავშვზე და შეშინდა, რომ მართლაც გააგდებდნენ სკოლიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მშობლის განმარტებით, მან სცადა დამრიგებელთან დაკავშირება სოციალური ქსელის მეშვეობით, მაგრამ დამრიგებელი კონტაქტზე არ გამოვიდა მასთან, ხოლო როგორც იგი აღნიშნავს, სკოლამ „ტკბილი ენით“ აიძულა იგი, ბავშვი გადაეყვანა სკოლიდან. წერილში მშობელი ეხება ასევე ჭადრაკის მასწავლებელსაც, რომელიც მის განმარტებით თავში ურტყავდა მოსწავლეს.

როგორც უკვე აღინიშნა, არსებული ვითარების შესასწავლად ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა მიერ განხორციელდა გასაუბრებები ასევე სკოლის დირექტორთან, დირექტორის მოადგილესთან, მშობლებთან და მასწავლებლებთან. ყველა მათგანმა ხაზი გაუსვა მოსწავლის ნიჭიერებას სხვადასხვა საგნის სწავლასთან დაკავშირებით და რიგმა მათგანმა აღნიშნა ასევე მისი ქცევის სირთულეც, რომელიც მნიშვნელოვნად არღვევდა სოციალურ ნორმებს, ხელს უშლიდა სხვა მოსწავლეებს, მათ შორის მის ტყუპისცალ ძმასაც და აზიანებდა მათ. როგორც დირექტორმა აღნიშნა, მის რჩევაზე, მიემართა ფსიქოლოგისთვის, მშობელმა გამოუცხადა რომ მის შვილს არ სჭირდება ფსიქოლოგი და რომ მალე თავად მას შეიძლება დასჭირდეს მისი მომსახურება, რამდენადაც ვეღარ უმკლავდება ბავშვს. რაც შეეხება ჭადრაკის მასწავლებელს, მასთან გასაუბრებით გაირკვა, რომ იგი ყურადღების მისაქცევად ადებს ხოლმე ხელს მოსწავლეებს თავზე, თუმცა არასოდეს დაურტყამს ბავშვისთვის, რაც ასევე დაადასტურეს მოსწავლეებმაც. დირექტორის მონათხრობით, რაც ასევე დაგვიდასტურა მოსწავლის მშობელმა, დადგინდა, რომ მშობელს ჰქონდა კომუნიკაცია ჭადრაკის მასწავლებელთან, ყველაფერი გაარკვიეს და მას შემდეგ მას პრეტენზია არ გამოუცხადებია.

მშობელთან სატელეფონო გასაუბრების დროს დადგინდა, რომ მან მიიღო გადაწყვეტილება მხოლოდ ერთი შვილი გადაეყვანა სხვა სკოლაში, რამდენადაც მეორე შვილს არ ჰქონდა არანაირი პრობლემა არც მასწავლებლებთან და არც თანაკლასელებთან, მაგრამ ვერ პოულობდა შესაბამის სკოლას. ხოლო შპს სკოლა ეისის დირექტორთან კომუნიკაციის დროს დადგინდა, რომ რამდენადაც მშობელმა თავად გადაწყვიტა გადაეყვანა შვილი სხვა სკოლაში და არ გაითვალისწინა მისი რჩევები ფსიქოლოგის ჩართვასთან დაკავშირებით, შესთავაზა მას ამ საქმეში დახმარება და მოუძებნა სკოლა, სადაც დროებით გადაიყვანდა ბავშვს.

დირექტორის განმარტებით, აღნიშნული ინციდენტის გამო, რაც ეხება მოსწავლის კლასის წინაშე დასჯას, შინაგანაწესის (მუხლი 22. დასაქმებულის დისციპლინური გადაცდომა) თანახმად (22.2.3. დასაქმებულის, მოსწავლის ან სკოლის დისკრედიტაციისაკენ მიმართული უღირსი საქციელი, ზნეობრივ-ეთიკური ნორმების დარღვევა), მისი კომპეტენციის ფარგლებში მიიღო გადაწყვეტილება, კლასის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დამრიგებელს გამოუცხადა 13.11.2023 სასტიკი საყვედური, დროებით სკოლის მიერ მოკვლების დასრულებამდე შეუჩერა კლასის დამრიგებლის უფლებამოსილება და მიიღო გადაწყვეტილება უზრუნველყოს მისი დატრენინგება რთული ქცევის ბავშვებთან მუშაობის მიმართულებით.

ამ ეტაპზე მ.მ.-ს შვილები აღარ სწავლობენ აღნიშნულ სკოლაში. მოსწავლეების მშობელმა 15.11.23. მიმართა სკოლას განცხადებით მოსწავლეთა ამორიცხვის შესახებ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული მეორე კლასის მშობლებმა, 07.12.2023 წელს განცხადებით მიმართეს დირექციას გათავისუფლებული დამრიგებლის დაბრუნების მოთხოვნით.

აღნიშნულის გათვალისწინებით, მიუხედავად სკოლის დირექტორის მცდელობებისა და საბოლოო გადაწყვეტილებისა კლასის დამრიგებელთან დაკავშირებით, შეიძლება ითქვას, რომ სკოლამ კონკრეტულ მეორე კლასში ვერ უზრუნველყო მოსწავლის ქცევის მართვა და ვერ შექმნა სხვა მოსწავლეებისთვისაც ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემო.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა ინფორმაცია აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. კერძოდ, სკოლამ გააფორმა ექვსთვიანი ხელშეკრულება (N195, 15.01.2024) კვალიფიციურ ფსიქოლოგთან (ფსიქოლოგის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი), რომელმაც შეიმუშავა ქცევის მართვისა და ფსიქო/ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის პრევენციული და სამუშაო გეგმა.

(შეესაბამება)

4. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;**

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას უზრუნველყოფს 1 დამლაგებელი. ვიზიტის პერიოდში, ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლით დადგინდა, რომ სკოლაში დაცულია სანიტარულ ჰიგიენური ნორმები. დირექციასთან გასაუბრებით გაირკვა, რომ სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვასთან დაკავშირებით, სკოლა ხელმძღვანელობს „სკოლამდელი და ზოგადასაგანმანათლებლო დაწესებულებების მოწყობის, აღჭურვისა და სამუშაო რეჟიმის სანიტარიული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს N308/ნ ბრძანების შესაბამისად.

(შეესაბამება)

5. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის უსაფრთხოების დაცვის წესის (მუხლი 35. პერსონალურ მონაცემთა შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და გამოყენების წესი) თანახმად, მშობლისა და მოსწავლის პერსონალური მონაცემები/ინფორმაცია, რომელიც სკოლისთვის ცნობილი გახდა საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულების გაფორმებისა და საგანმანათლებლო/სასწავლო პროცესში, სკოლის მიერ მუშავდება და გამოიყენება საჭიროებისამებრ მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში. ხოლო სასკოლო ან/და არასასკოლო აქტივობების მიმდინარეობის პროცესში განხორციელებული ფოტო, ვიდეო გადაღების გზით მოპოვებულ პერსონალურ ინფორმაციას სკოლა ამუშავებს, ინახავს ან/და იყენებს საჭიროებისამებრ, (მათ შორის სარეკლამო მიზნებისათვის).

მშობლებთან და სკოლის პერსონალის ხელშეკრულებების შესწავლით დადგინდა, რომ მათში არ არის ჩანაწერი პერსონალურ მონაცემთა გამოყენებასთან დაკავშირებით, რისი გათვალისწინებითაც სკოლას მიეცა შესაბამისი რჩევა- მოიპოვოს სკოლაში დასაქმებული ყველა პირის და სკოლის მოსწავლეების ყველა მშობლის მიერ გამოხატული ნებაყოფლობითი თანხმობა წერილობით ან მასთან გათანაბრებული ფორმით, მათ შესახებ მონაცემთა განსაზღვრული მიზნით დამუშავებაზე, **(შეესაბამება)**

6. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;**

დირექტორის განმარტებით, საქმისწარმოებისა და ბუღალტრულ დოკუმენტაციაზე წვდომა აქვს მხოლოდ ხელშეკრულებით უფლებამოსილ პირებს. საარქივო მასალები ინახება ცალკე გამოყოფილ სივრცეში. სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა და მოსწავლის სტატუსის მინიჭება ხდება კანონით განსაზღვრული წესის დაცვით. ასევე წესების დაცვით ასახავს სკოლა ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში- Eschool.emis.ge მოსწავლეთა შესახებ ინფორმაციას, მოძრაობის აღრიცხვას (პირველკლასელთა რეგისტრაციას, მოსწავლეთა მობილობას, სტატუსის შეჩერება/აღდგენას და ა.შ). სკოლა უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისთვის. მოსწავლეთა შესახებ პერსონალური ინფორმაციის გასაჯაროება ხდება კანონის შესაბამისად დადგენილი ნორმების მიხედვით, მშობელთა/კანონიერი წარმომადგენელის თანხმობის საფუძველზე. **(შეესაბამება)**

7. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.**

დირექტორის განმარტებით, სკოლა პერიოდულად აფასებს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დანერგილი მექანიზმების ფუნქციონირების ეფექტიანობას. სკოლის დირექცია მუდმივად აკვირდება სკოლაში მიმდინარე პროცესებს და სჭიროების შემთხვევაში იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს. სასწავლო წლის ბოლოს სკოლაში იგეგმება მთელი სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა ამ მიმართულებით და მიღებული შედეგების გათვალისწინებით ახალი სასწავლო წლისთვის შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა. **(შეესაბამება)**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შპს სკოლა ეისის შინაგანაწესი;
- სკოლის საქმისწარმოების დებულება;
- მშობელთან გასაუბრების ოქმი (დანართი N1);
- შპს „სკოლა ეისი“ -ს დირექტორის 2020 წლის 1 სექტემბრის ბრძანებით #ს2-170 დამტკიცებულია „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში გაგზავნილი, 2020 წლის 29 სექტემბრის წერილი „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების“ შეთანხმებასთან დაკავშირებით;
- სკოლის დირექტორის 2023 წლის 5 სექტემბრის № ს2-323 ბრძანება უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირის დანიშვნასთან დაკავშირებით;
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც 2023 წლის 8 დეკემბერს, გადაეგზავნა შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს შესათანხმებლად;
- შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებულ სპეციალისტთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- რესურსცენტრში გაგზავნილი წერილი (N 987, 15.01.2024), საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 65/ნ ბრძანების შესაბამისად გადამზადებასთან დაკავშირებით;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან გადაგზავნილი წერილი (N978, 08.12.2023);
- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულება N89/01, 18.01.2024 მომსახურების გაწევის შესახებ და შესაბამისი მომსახურებისთვის გადახდილი თანხის ქვითარი (ელექტრონული საგადასახადო დავალება N11402);
- მომსახურების საფასურის გადახდის დოკუმენტაცია;
- სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს უფროსთან გაგზავნილი წერილი (N986, 15.01.2024), სკოლის შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების დასკვნის მომზადებასთან დაკავშირებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სკოლის დირექტორის ბრძანება №2-331, 16.01.2024 - შპს „სკოლა ეისში“ ექიმის/ექთნის ვაკანტური ადგილის შესავსებად გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ და ვაკანსიის შესახებ განცხადების გამოქვეყნების დამადასტურებელი ბმული - https://teacherjobs.ge/?position=15&subject=&class=&school=&district=28 ;
- სამედიცინო ინვენტარის ჩუქების ხელშეკრულება;
- ფსიქოლოგის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სკოლასა და ფსიქოლოგს შორის გაფორმებული ხელშეკრულება;
- ქცევის მართვისა და ფსიქო/ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის პრევენციული გეგმა;
- ფსიქოლოგის სამუშაო გეგმა.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;**

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა ხორციელდება სკოლის შინაგანაწესით, სასკოლო სასწავლო გეგმით და სკოლის „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების პროექტით“ (გაგზავნილია შესათანხმებლად განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში).

სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია განცხადების/საჩივრის განხილვის წესი. მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს უფლება აქვთ, თავიანთი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად გაასაჩივრონ მასწავლებლისა და სკოლის უკანონო და სხვა არამართლზომიერი ქმედებები. განცხადების განხილვის ვადა განისაზღვრება 10 სამუშაო დღით, ხოლო საჩივრის განხილვის ვადა ერთი თვის ვადით, თუ საჩივრის განხილვის ვადა მოითხოვს დროის დიდ პერიოდს, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს დამატებით ერთი თვის ვადით.

სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია მოსწავლის უფლებები, მათ შორის შინ სწავლებასთან და შეფასების გაუმჯობესებათან დაკავშირებით, შინ სწავლებასთან და სსსმ მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვასთან დაკავშირებული რეგულაციები. **(შეესაბამება)**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;**

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები ასახულია სკოლის შინაგანაწესში. სკოლის შინაგანაწესის გაცნობას დამრიგებლები უზრუნველყოფენ სასწავლო წლის დასაწყისში მშობელთა კრებებზე. შინაგანაწესი განთავსებულია თვალსაჩინო ადგილას. **(შეესაბამება)**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეთა კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. ხელშეკრულებაში ასახული ინფორმაცია გამჭვირვალე. ხელშეკრულებით განსაზღვრულია ხელშეკრულების საგანი, მხარეთა უფლება-მოვალეობები, სწავლის ღირებულება და მისი გადახდის წესი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა, ხელშეკრულების შეწყვეტის წესი, ფორსმაჟორი, დავის გადაწყვეტა, დამატებითი პირობები, მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები.

ხელშეკრულების მეოთხე მუხლის მე-4 პუნქტის განისაზღვრება სკოლის უფლებამოსილება ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება,

ა) თუ მშობელი დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

ბ) თუ კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში მოსწავლე უხეშად დაარღვევს მოსწავლეთა ქცევის კოდექსს.

აღნიშნული ჩანაწერი (ხელშეკრულების შეწყვეტა - მოსწავლის მიერ მოსწავლეთა ქცევის კოდექსის უხეში დარღვევის შემთხვევაში) ეწინააღმდეგება ზოგადი განათლების კანონის რეგულაციას დაწყებით და საბაზო საფეხურებზე მოსწავლის სკოლიდან გარიცხვის დაუშვებლობის შესახებ, (მუხლი 19. 12[1]).

ხელშეკრულების მე-3 მუხლის მესამე პუნქტი განსაზღვრავს, რომ „მშობლის ინიციატივით ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, მშობელს წინასწარ გადახდილი თანხა უკან არ უბრუნდება“.

აღნიშნული ჩანაწერი ეწინააღმდეგება ზოგადი განათლების კანონის მუხლი 33[2] -ით განსაზღვრულ წესს, „კერძო სკოლა ვალდებულია მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის სურვილით მოსწავლის სხვა სკოლაში მობილობის შემთხვევაში ... მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს 5 სამუშაო დღის ვადაში დაუბრუნოს წინასწარ გადახდილი სწავლის საფასური (არსებობის შემთხვევაში)“.

აღნიშნულიდან გამომდინარე დასკვნის პროექტის ფარგლებში დადგინდა, რომ სკოლის მიერ მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთანგაფორმებული ხელშეკრულება არ იყო კანონმდებლობის შესაბამისი, თუმცა არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ აღნიშნა, რომ გააუქმა სკოლასა და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები და მათთან დადო ახალი კანონმდებლობასთან შესაბამისი ხელსეკრულები, ხოლო მტკიცებულების სახით წარმოადგინა ხელშეკრულების ახალი ფორმა, რომელიც სრულ შესაბამისობაში კანონმდებლობით განსაზღვრულ წესებთან.

(შეესაბამება)

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მოსწავლეთა კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის და პირობების პროექტი;
- მოსწავლეთა კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულების ახალი ფორმა.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;**

სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები. შპს სკოლა „ეისის“ დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერების, მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესი.“ დოკუმენტით განსაზღვრული პროცედურები არის გამჭვირვალე და მკაფიო და შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს. **(შეესაბამება)**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს. აღნიშნული პროცედურები მიმდინარეობს კანონმდებლობის შესაბამისად, გამოცემულია შესაბამისი საფუძვლის მქონე ბრძანებები. **(შეესაბამება)**

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;**

სკოლის საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ინფორმაცია გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში. საგანმანათლებლო მომსახურების საფასურის შესახებ ინფორმაცია გაწერილია მშობელთან დადებულ ხელშეკრულებებში. ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში იმართება მშობლებთან და მოსწავლეებთან შეხვედრები. დამრიგებლები აწვდიან მშობლებს სკოლის შინაგანაწესსა და საგანმანათლებლო მომსახურების შესახებ ინფორმაციას. სკოლის შენობაში ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია შინაგანაწესი.

ვიზიტის პერიოდში არ ფუნქციონირებდა დაწესებულების ვებ გვერდი http://www.acschool.ge/, რაც დირექტორის განმარტებით ტექნიკურმა ხარვეზმა გამოიწვია. შესაბამისად სკოლას მიეცა რჩევა - უზრუნველყოს ვებ გვერდის უხარვეზო ფუნქციონირება. **(შეესაბამება)**

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.**

სკოლის ავრცელებს ინფორმაციას პროგრამების, სერვისების, აქტივობებისა და რესურსების შესახებ სკოლის გვერდზე სოციალურ ქსელში (https://www.facebook.com/ACSchoolGe) , გამოქვეყნებული ინფორმაცია არის არადისკრიმინაციული და გამჭვირვალე. სკოლის ვებ გვერდი არ ფუნქციონირებს.

სასწავლო პროცესში არსებული მიმდინარე სიახლეების (მაგ. სწავლის გადასახადის ცვლილება; მოსწავლის მიერ გაკვეთილების გაცდენა და სხვა) შესახებ ინფორმაციას მშობელი იღებს ადმინისტრაციის მიერ ჩატარებული შეხვედრით ან/და შეტყობინებით ან/და კლასის ხელმძღვანელის საშუალებით; **(შეესაბამება)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერების, მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესი, 08.12.2023;
- სკოლა „ეისის“ შინაგანაწესი, 25.08.2023;
- http://www.acschool.ge/index.php;
- https://www.facebook.com/ACSchoolGe;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;**

სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი. მასში გაწერილია მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი ღონისძიებები. გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ მოსწავლეთა ადაპტაციაზე ზრუნავს სკოლის პერსონალი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლები და დამრიგებლები. ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებელი მოსწავლეებს აცნობს სკოლაში დამკვიდრებულ წესებს, პროგრამებსა და სასკოლო გარემოს. **(შეესაბამება)**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;**

სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასკოლო გარემოსთან. მოსწავლეთა მიღება ხდება კეთილგანწყობილ და საზეიმოდ მომზადებულ გარემოში. **(შეესაბამება)**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;**

მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. პირველიდან მეექვსე კლასის ჩათვლით მოსწავლეები სარგებლობენ გახანგრძლივებული მომსახურებით, რა დროსაც მოსწავლეები ამზადებენ საშინაო დავალებებს და იღებენ სათანადო მხარდაჭერას. სწავლების დროს გამოიყენება ინდივიდუალური მიდგომა. **(შეესაბამება)**

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;**

სკოლაში მშობლის მიერ წარმოდგენილ განცხადებებზე (მოსწავლის სკოლიდან გადაყვანა, სკოლაში ჩარიცხვა, ცნობის გაცემა) ხდება დროული რეაგირება და ვადების დაცვით აღნიშნული საქმიანობის წარმართვა. **(შეესაბამება)**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;**

სკოლაში მოსწავლეთა ინიციატივითა და ჩართულობით ხორციელდება სხვადასხვა აქტივობები. სკოლაში შექმნილია მოსწავლეთა თვითმმართველობა. **სკოლას არ აქვს მოსწავლეთა ინიციატივის მხარდამჭერი წესი,** რომელიც დაარეგულირებდა მოსწავლეთა ინიციატივების წარდგენას და მხარდაჭერის მიღების პროცედურას. **სკოლას მიეცა რჩევა, შეიმუშავოს მოსწავლეთა ინიციატივის მხარდამჭერი წესი. (შეესაბამება)**

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.**

ვიზიტის პერიოდში დოკუმენტურად/წერილობით წარმოდგენილი არ იყო მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის ამასხველი მასალები. თუმცა გასაუბრებებიდან გამოიკვეთა, რომ მოსწავლეებსა და მშობელებს მიუმართავთ მასწავლებლებისათვის და სკოლის დირექციისათვის სასწავლო პროცესთან დაკავშირებული კონკრეტული პრობლემებით და/ან წინადადებებით, ხოლო სკოლამ შემდგომი საქმიანობისას გაითვალისწინა მათი მოსაზრებები. **(შეესაბამება)**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის წესი;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;**

სკოლაში პერიოდულად ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრები გარკვეულწილად უზრუნველყოფს მოსწავლეთა კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მიმართულებას. სკოლაში არის მოსწავლეებისა და სკოლის კურსდამთავრებულების შეხვედრების პრაქტიკა; შეხვედრებზე ხდება გამოცდილების გაზიარება და არჩეული პროფესიების შესახებ საუბარი.

სკოლას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გორის პროფესიულ კოლეჯთან. **(შეესაბამება)**

რჩევა: სადამრიგებლო პროგრამებში ასახოს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობის მიმართულებით განსახორციელებელი აქტივობები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;**

სკოლა აწვდის ინფორმაციას მოსწავლეებსა და მათ მშობლებს ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. მოსწავლეები არიან ინფორმირებული საფეხურის დაძლევის შემდგომ არსებული შესაძლებლობების შესახებ. **(შეესაბამება)**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.**

სკოლის დირექცია და პედაგოგები იღებენ გამოხმაურებას სკოლის კურსდამთავრებულებისაგან, უზიარებენ საკუთარი პროფესიული არჩევანით კმაყოფილებას. სკოლა გეგმავს სამომავლოდ ორგანიზებული სახე მისცეს გაწეული მომსახურების შეფასებას და მისი შედეგები გამოიყენოს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისათვის. **(შეესაბამება)**

რჩევა: კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის მიზნით პერიოდულად შეაფასოს გაწეული მომსახურება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სადამრიგებლო პროგრამა

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;**

სკოლა „ეისის“ სასკოლო სასწავლო გეგმაში აღწერილია ინკლუზიური განათლების შესახებ ინფორმაცია. განსაზღვრულია სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების რეგულაცია და ისგ ჯგუფის მუშაობის წესი. **(შეესაბამება)**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.**

სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე. **(შეესაბამება)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლა ეისის სასკოლო სასწავლო გეგმა

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);**

სკოლის მიერ შეთავაზებულია გახანგრძლივებული სწავლება I-VI კლასის მოსწავლეებისათვის. **(შეესაბამება)**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;**

სკოლის მიერ შეთავაზებული გახანგრძლივებული სწავლების წესი და პირობების შეთანხმებულია მოსწავლეთა მშობლებთან ხელშეკრულებების საფუძველზე. **(შეესაბამება)**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.**

მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს. **(შეესაბამება)**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი N 1 მშობელთან გასაუბრების ოქმი
26.01.2024
გვ.36

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: